საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

N 78 2007 წლის 1 თებერვალი ქ.თბილისი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს თანდართული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი.

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2007 წლის 1 თებერვალი
N 78 ბრძანებულებით

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი

მუხლი 1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლთან პირველი კონტაქტი

1. პირველი კონტაქტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლთან (შემდეგში – სავარაუდო მსხვერპლი) შეიძლება ჰქონდეთ სასაზღვრო პოლიციისა და პოლიციის თანამშრომლებს, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების, სამედიცინო დაწესებულებების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს.

2. პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის შესახებ ეჭვის წარმოშობის ან მსხვერპლის მიერ თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში, მას უნდა ეცნობოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ და გადაეცეს უფლება-მოვალეობათა ჩამონათვალი.

3. სავარაუდო მსხვერპლთან პირველი შეხებისთანავე მას უნდა განემარტოს, რომ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მართლსაწი-ნააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის, თუ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო და ასევე დაუყოვნებლივ ეცნობოს, რომ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“

საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს).

4. სავარაუდო მსხვერპლის მიერ მისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების სურვილის გამოხატვისას, იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სამუშაოს შესასრულებლად გამოძახებული უნდა იქნეს სპეციალური მობილური ჯგუფი. თუ სავარაუდო მსხვერპლს გარკვეული პერიოდის შემდეგ სურს მობილურ ჯგუფთან დაკავშირება, მას გადაეცემა შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია.

მუხლი 2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიკაცია

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (შემდეგში – მსხვერპლი) სტატუსის მინიჭების საკითხს წყვეტს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორ-ციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი (შემდეგში – მუდმივმოქმედი ჯგუფი) სავარაუდო მსხვერპლის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის) ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან 48 საათის განმავლობაში.

2. მუდმივმოქმედი ჯგუფი პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური მობილური ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

3. სპეციალურ მობილურ ჯგუფებს მუდმივმოქმედი ჯგუფის წარდგინების საფუძველზე ქმნის სსიპ - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“.

4. სპეციალური მობილური ჯგუფი შედგება 2 პირის - ფსიქოლოგისა და იურისტისაგან. საქართველოს ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში) მოქმედებს ორი სპეციალური მობილური ჯგუფი.

5. სპეციალური მობილური ჯგუფის გამოძახება ხდება სავარაუდო მსხვერპლის გამოვლენის ან თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში. სპეციალური მობილური ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრებისას ივსება სპეციალური კონფიდენციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი, რომელიც წარედგინება მუდმივმოქმედ ჯგუფს და რომლის საფუძველზეც მუდმივმოქმედი ჯგუფი განიხილავს სავარაუდო მსხვერპლისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს.

6. სპეციალური მობილური ჯგუფის წევრები ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ სავარაუდო მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები მისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის მიუხედავად. მონაცემების გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სავარაუდო მსხვერპლისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემდეგ, მსხვერპლის სურვილის შემთხვევაში, იგი შეიძლება გადაიყვანონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში

(თავშესაფარში). სხვა შემთხვევაში, მას შეუძლია ისარგებლოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის კანონით გათვალისწინებული გარანტიებით. აღნიშნულის თაობაზე მას გადაეცემა სტანდარტული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის სფეროში მისთვის არსებულ, აგრეთვე უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმაციას (საკონტაქტო მონაცემების ჩათვლით), ასევე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიების ნუსხას.

მუხლი 3. მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურა

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსს მუდმივმოქმედი ჯგუფი ანიჭებს სავარაუდო მსხვერპლის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულე-ბისათვის (თავშესაფარისათვის) ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან 48 საათის განმავლობაში.

2. სპეციალური მობილური ჯგუფი მუდმივმოქმედ ჯგუფს წარუდგენს საიდენტიფიკაციო კითხვარს. სპეციალური მობილური ჯგუფის მიერ მიწოდებული სავარაუდო მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარის საფუძველზე მუდმივმოქმედი ჯგუფი განიხილავს სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების საკითხს. სავარაუდო მსხვერპლის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია მუდმივმოქმედი ჯგუფის გასაუბრება მასთან.

3. სავარაუდო მსხვერპლისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, მუდმივმოქმედი ჯგუფი თითოეულ შემთხვევაზე გასცემს შესაბამის დოკუმენტს, რომლის ერთი პირი გადაეცემა მსხვერპლს, ერთი პირი რჩება მუდმივმოქმედ ჯგუფს და ერთი პირი ეგზავნება სსიპ - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“. მსხვერპლის სტატუსის მინიჭებისას მუდმივმოქმედი ჯგუფი მსხვერპლს აწვდის წერილობით ინფორმაციას თავშესაფრით, კომპენსაციით, სამედიცინო დახმარების და სხვა პროგრამებით სარგებლობის შესახებ.

4. მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მუდმივმოქმედი ჯგუფი ინფორმაციას აწვდის სსიპ - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“.

5. პირი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 და 143^2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად შესაბამისი სამართალდაცვის ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილ იქნა დაზარალებულად, გათანაბრებულია მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მინიჭებულ მსხვერპლის სტატუსის მქონესთან და შეუძლია ისარგებლოს თავშესაფრით, კომპენსაციით, სამედიცინო დახმარების და სხვა პროგრამებით, რის შესახებაც მას უნდა ეცნობოს დაზარალებულად ცნობისას.

6. უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ან უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის მქონე პირს საქართველოში მსხვერპლის სტატუსის მისაღებად შეუძლია მიმართოს მუდმივმოქმედ ჯგუფს. უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოში მსხვერპლის სტატუსი მიენიჭება, თუ მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება

დაიწყო, გაგრძელდა ან დამთავრდა საქართველოში. მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ან უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის მქონე პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება ავტომატურად არ ხდება. მუდმივმოქმედი ჯგუფი ასეთ შემთხვევას განიხილავს სხვა შემთხვევების თანაბრად, დადგენილი წესის მიხედვით.

7. მუდმივმოქმედი ჯგუფი მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტილებას იღებს ხმათა ოთხი მეხუთედით.

8. უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ან უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის მქონე უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს თავშესაფრით, კომპენსაციით, სამედიცინო დახმარებისა და სხვა პროგრამებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემდეგ, გარდა ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ სავარაუდო მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები მისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის მიუხედავად. მონაცემების გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.